

ბრძანება
№3/85

19.03.2012.

ქ. თბილისი

**ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდისთვის
არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის
ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე**

საქართველოს უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-კულტურული ფასეულობის სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, “კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, “საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების შესაბამისად

ვბრძანებ:

1. მიენიჭოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან დღემდე გავრცელებულ „ქვევრის ღვინის დაყენების უძველეს ქართულ ტრადიციულ მეთოდს“;
2. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს ამ ბრძანების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მონაცემების სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვა;
3. ეთხოვოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წარმომადგენლის შესაბამისი დასკვნა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის კატეგორიის მინიჭების თაობაზე;
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქუჩა №7).

მინისტრი

ნიკოლოზ რურუა